განკარგულება:**გ-49. 4924296001**
თარიღი:**22/10/2024**

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2024 წლის მესამე კვარტლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდის განკარგვის შესახებ, ინფორმაციის თაობაზე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ მოისმინა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის ინფორმაცია, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2024 წლის მესამე კვარტლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდის განკარგვის შესახებ (დანართი თან ერთვის).
ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის `ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის~ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 15 ივლისის №26 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. ცნობად იქნეს მიღებული ინფორმაცია, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2024 წლის მესამე კვარტლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდის განკარგვის შესახებ.
2. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

თეიმურაზი ჭეიშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი